წელიწადი 1-ლი    ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ხუთშაბათი ნოემბრის 2—(15) 1917

# ჩვენი ქვეყანა

ხელის მოწერის ფასი:
თვიურად . . . 3 მ.
ორი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნომერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი ღირს . . . 2 მან.
უკანასკნელ გვერდზე . . .
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად.
სამგლოვიარო განცხადების ფასი ერთი ორად. არა უმეტეს ხამი გამოცხადებისა, ნაშუადღევისთ საათ. 4 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა

№ 164    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 164

## საჭიროა გამოცდილი კორექტორი

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში.

## განცხადება.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წყალ-გამოღმა) უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში —სიმსონ ბოკერიის სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსეთის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდე.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი.**

## ძმ. უღრელიძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეარის მიიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

## ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.

ალებს შინაგანი, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. ბუშკინის ქუჩ. გაბუნიანცის სახლი

## ექიმი

ვ. ი. მიქიაშვილი ვენერიული და სიფილისის კაბინეტი. მიღება, სიფილისის და ვენერიული ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

## ექიმი შალვა კოკოჩაშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დილის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46, ტელეფ. 87.

## არჩევნების თავისუფლება.

სახოგადოება, საერობო, საქალაქო და სამოსამართლო ხაზინების წევრებისა და დამფუძნებელი კრების დეპუტატებს ირჩევს თანასწორად ყველა სრულწლოვანი მოქალაქე, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად პირდაპირის და ფარული ხმის მიცემით.

ეს — ერთერთი დიდი სამოქალაქო უფლებაა, რომელიც რევოლუციამ მოგვანიჭა, მაგრამ იგი არაა არაფერი თვინიერ საარჩევნო თავისუფლებისა.

მოქალაქეს პოლიტიკური სინიდისი თავისუფალი შეუვიწროებელი უნდა იყოს. არავის უნდა ჰქონდეს უფლება ძალით მიიმხროს სხვის თავის პოლიტიკური მრწამსი, და აარჩევინოს ისეთი პირები, რომელთა არჩევაც ამომრჩეველს არა სურს.

თუ ვინმე ძალადობას მიმართავს, ამ უკანონობასა და უწესობას უპირველესად თვითონ ამომრჩეველი უნდა წინააღუდგეს.

მოქალაქენო! დაიცავით თქვენი სამოქალაქო უფლებანი, ნურავის გაათელვინებთ ფეხით თქვენს თავისუფლებას! იყავით გამბედავნი! ნუ შეუშინდებით მუქარას! გაიხსენეთ უკვდავი რუსთველის სიტყვები:

რა უვარგა მამაცსა, ომშიგან პირისმომქცევსა, შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილსა მეჭველსა!

ვაჟკაცის გული ვერაფერმა უნდა შეაშინოს, მეტადრე არჩევნების ხრიკმეისტერების მუქარამ!

ალაგმეთ, პირში მიახალეთ ამგვარ მოძალადე ხრიკმეისტერებს და დაემორჩილეთ მხოლოდ საკუთარ რწმენას.

ინგლისში დიდი ხნიდან არის ერთი კარგი დაკანონებული ჩვეულება. თუ მთავრობის წარმომადგენელმა გაბედა და მოინდომა უკანონო გადასახადის აკრეფა, მოქალაქეთ უფლება აქვსთ წინააღუდგენ ძალადობას.

ამგვარივე უფლება გვაქვს დღეს ჩვენც.

ვინ უნდა ავირჩიოთ და ვინ არა, სოციალ დემოკრატი, ფედერალისტი თუ ეროვნულ-დემოკრატი, ამის შესახებ მხოლოდ ჩვენს პოლიტიკურ სინიდისს უნდა დაეკითხოთ და არა სხვის ბრძანებას! მბძანებლის ძალადობას კი უნდა წინააღვუდგეთ! ეს ჩვენი ხელშეუხებელი სამოქალაქო უფლებაა!

ყველა მოქალაქეს აქვს აგრეთვე პროპაგანდის, ე. ი. ქადაგებისა და აგიტაციის უფლება ეს უფლება სიტყვის, ბეჭდვისა და კრების თავისუფლების შედეგია. და არავის არ უნდა მივსცეთ ნება გაგვათელვინოთ ეს დიდი, რევოლუციის მიერ მოპოებული სამოქალაქო უფლება!

მოქალაქენო! დაიცავით თქვენი სამოქალაქო უფლებანი! იყავით თავისუფალნი, უშიშარნი, მამაცნი! დაემორჩილეთ მხოლოდ საკუთარ მწებელობასა და სინიდისს ნუ შეუშინდებით წვრილფეხა პოლიტიკანების მუქარას: წინააღუდეგით უხეშ ძალადობას!

მიეცით ხმა ეროვნულ-დემოკრატების სიას (№ 8), რომელიც იცავს: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, მიწის მიწის-მუშისათვის კერძო საკუთრებად, მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კანონმდებლობას, სამოქალაქო თავისუფლებას და საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებისა და რესპუბლიკურ-დემოკრატიული პრინციპის საფუძველზე.

ვასილ წერეთელი.

## დამფუძნებელი კრება.

1

დიდ იმედებს ამყარებენ დამფუძნებელ კრებაზე.

მან უნდა აღადგინოს კანონიერება ბედკრულ-წახდენილ რუსეთში; მან უნდა მოაგვაროს სასურსათო საქმე; მან უნდა გამოუნახოს მალამო ყოფილ ძლიერი რუსეთის მრავალ-ტანჯულ მცირე ერებს.

ვერც მოსკოვისა და პეტროგრადის თათბირმა; ვერც პარლამენტის წინ შემდგარმა რესპუბლიკურმა საბჭომ ვერ მოახერხა აბობოქრებული „წმინდა“ რუსეთის დამშვიდება.

მაგრამ ამ ერთად-ერთს იმედსაც ყველა არ შეჰყურებს გულწრფელად.

„ბოლშევიკებს“ ეშინია, და სამართლიანადაც, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე მათი ხმა გაითქვიფება დანარჩენ ზომიერ სოციალისტთა შორის და განსაკუთრებით კი დინჯი ხმა ცენზიანი ელემენტებისა დამფუძნებელი კრების შეუზღუდველ თავისუფლებით ისარგებლებს და მეტს თანამოაზრეს მოიპოვებს, ვიდრე დღემდე ჰყავდა.

კადეტები კი ჰფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა რუსეთი მიანდობს მათ შესაფერ რიცხვს მანდატებისას და საკმაო ყურადღებით მოეპყრობა მათ აზრსა და მიმართულებას.

ამიტომაც თვით რუს მოქალაქეთა ერთი ნაწილი ზოგჯერ გულის სიღრმეში და ზოგჯერაც აშკარათ აცხადებს დამფუძნებელი კრების არჩევნები ცოტა ხნით მაინც გადადებულ იქმნას.

მათ გულის ზრახვას ხელს უწყობს ტეხნიკური დაბრკოლებანი.

აქა-იქ ჯერ საარჩევნო სიებიც არ არის შედგენილი... ზოგან შემოდგომამ ისე გააფუჭა გზები, რომ კანონიერად არჩევნების მოხდენა შეუძლებლად გახადა და თვით ქალაქისა და კონვერტების შოვნა დიდ გასაჭირს წარმოადგენს.

მაგრამ ასე იქნება თუ ისე, დამფუძნებელი კრებისათვის ჩვენ უნდა ვემზადოთ მთელის ძალის შემოკრებით.

მართალია, დამფუძნებელი კრება, შემდგარი უფრო მემარჯვენე ელემენტებიდან ვიდრე დღევანდელი დროებითი მთავრობა არის, არ იტყვის იმ სიტყვას, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, არ გამოგზავნის იმ წამალს, რომელიც განკურნავს ჩვენს წყლულებს.

ჩვენ, ქართველებს, დიდი იმედი გვქონდა თავისუფალი რუსეთის, მაგრამ ამ თავისუფალ რუსეთს არ შერცხვა ჩვენი კათალიკოსისათვის მოქიშპედ რუსის ეგზარხოსი გამოეგზავნა თბილისში, მისთვის მიეცა საეკლესიო ხარჯებისათვის საჭირო თანხები, საკათალიკოსო კი ღვთის ანაბარად დაეტოვებია.

ამ თავისუფალ რუსეთს არაერთხელ ვთხოვეთ მტრისგან დაჭერილ ადგილებიდან დროებით ერთ-ერთი უნივერსიტეტი თფილისისთვისაც ეღირსება, მაგრამ ამაოდ; და მხოლოდ მაშინ, როცა გაიგეს, რომ **ქართული** უნივერსიტეტის რამოდენიმე ფაკულტეტი იხსნიებს, დროებითმა მთავრობამ სასწრაფოდ განკარგულება მოახდინა, გაიხსნას თფილისში რუსული უნივერსიტეტის სწორეთ ის ფაკულტეტები, რომელნიც განზრახული აქვს ქართულ უნივერსიტეტს.

არ მოგვაქცია ჩვენ ქართველებს, რამდენიც დობრუჯასა, ლიტვასა და ლატვიას.

თავისუფალმა რუსეთმა იმდენი ყურადღებაც კი თავისუფალ რუსეთს, თუ მართლა აწუხებდეს ჩვენი ჭირ-ვარამი, თვისი განთავისუფლების პირველ დღესვე აღგვიდგენდა ვერაგულად დათრგუნვილ ჩვენს უფლებებს და თვით თავისუფალი თავისუფალ ერს ძმური კავშირის შესაკრავად გაგვიწვევდა და არ დაგვატანდა ძალას დავკმაყოფილებულიყავით ჩვენ მხოლოდ რუსეთის მოქალაქის უფლებით ხომ ერი ვართ, ერი! მაგრამ არ სურთ ეს შეიგნონ! მაშ რათ მივდივართ დამფუძნებელ კრებაში? ამაზე შემდეგ.

Argon.

## კვლავ შინაურ ჭირ-ვარამზე.

— დიაღ! დიდი კაცი იყო ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ აჰ სკამებს რაღას ამტვრევო! უთხრა თურმე ერთხელ დინჯმა მასწავლებელმა ფიცხ მოწაფეს, როდესაც ეს უკანასკნელი ალექსანდრე მაკედონელის ხსენებაზე ისეთს ალტაცებაში მოვიდა, რომ დაავლო სკამს ხელი და კედელს ხეთქა...

მეც ხშირად მინდა ხოლმე ვუთხრა ჩვენ მოსოციალისტე მქადაგებელთა და უპასუხისმგებლო, *) ჯერედ უწვრთნელთ, თავის ქვეყნის ავისა და კარგის უცოდინართ, სახელდახელოდ გამომცხვართ და ბედაურების ნაცვლად მოთოხარიკე „პროპაგანდისტებს“:

— დიდი რამ არის რევოლუცია, უდიდესია სამართლიანობა, უუწმინდესია ძმობა-ერთობა, უძვირფასესი სოლიდარობა ხალხთა შორის, უშესანიშნავესია მოძღვრება სოციალიზმის შესახებ, უნეტარესია თავისუფლება პიროვნებისა, ერისა, თუ კაცობრიობისა, მაგრამ რა ნება გაქვთ აუმღვრიოთ ხალხს გული და გონება, ასწავლოთ მას ათასი აბდა-უბდა, სოციალიზმისა და სხვა „იზმების“ სახელით, როდესაც თქვენ თითონ გზა კვალი აგბნევიათ და მხოლოდ და მარტო კაჭკაჭივით დაგიზეპირებიათ დიად მცნებათა სახელები და არ გინდათ, თუ ვერ მოგიხერხებიათ თქვენი გულისთქმა შეუწონოთ, შეუფარდოთ, შეუხმატკბილოთ ამ მცნებათა შინაარსს, ამ მცნებათა მოთხოვნილებას, ამ მცნებათა სიწმინდესა და სისპეტაკეს?...

მე აღარ მინდა აღვნიშნო ის აღრეულობა აზრთა და ფიქრთა, ის მთვარი და აურუზაური, ის სავალალო და გულსაკლავი გაუგებრობა და შუღლი, რომელიც შეიტანეს ასტეხეს და დაამკვიდრეს „არა მკითხე პროპაგანდისტებმა“ სოფლად, მე მინდა ვსთქვა, რომ დროა ყველა პარტიის ხელმძღვანელებმა საზღვარი დაუდონ უვიც მქადაგებელთა თარეშს შინ თუ გარედ და სათანადო პასუხის მგებლობა მოსთხოვონ იმათ, ვინც დიადი მოძღვრების სახელით დიად უმეცრებასა და უტიფრობას სთესენ გულუბრყვილო, მაგრამ უკეთესი მომავლის მოსურნე ხალხში...

ჩვენი ქვეყანა—საქართველო ისეთი პატარა და მკვიდრთა ნათესაობით ისეთი ერთფეროვანი და შეკრული ქვეყანაა, რომ მისთვის საკმარისია ოცი და ორმოცი კარგად გაწვრთნილი, მომზადებული, იდეის მადმერთებელი, იდეის პატივისმცემელი, ისტორია-ფსიქოლოგიის მცოდნე და მეცნიერულად მომზადებული მქადაგებელი.

ჩვენ იმ თავითვე ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ყველა ვიგინდარას ნება

*) ეს სიტყვა ვისესხე ჩვენი ფედერალისტების ლექსიკონიდან.

ავტ.

არ უნდა მისცემოდა მქადაგებლობისა და მღდადებლობისა, ვინაიდგან თვით უვიცი, უწვრთნელი, უმეცარი, უანბანო, გაკაჭკაჭებული და გაჯაფარებული, სხვასაც გზიდან აგდებს და იმავე იდეების საზარალოდ, რომელ იდეებსაც ვითომდა ემსახურებიან სხვადასხვა პარტიების ასეთი ,,პროპაგანდები'',-ათასგვარ ჭორებსა და უმსგავსოებას არაკუნებენ მოშლილი წისქვილებივით და ხალხს, თავის მშობლიურ ნიადაგსა და აღზრდას მოკლებულ ხალხს,—სოფლის მშრომელ გლეხობას,—გზიდან აგდებენ და რყვნიან მათ ხალხოსნურსა თუ ერთობლივ გულის თქმას.

მაგრამ თუნდა თავი დავანებოთ გლეხობას, ვინაიდგან, ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი გლეხობა, ქართველი ხალხი, როგორც ერთეული, როგორც მატარებელი საუკუნოებით შექმნილ ისტორიაკულტურისა და გამოცდილებისა, როგორც ბურჯი და კვარცხლბეკი ერისა,—მოიგდებს ხელში თუ არა თავისუფლებასა და გახდება თუ არა ბატონი თავის თავისა, დარწმუნდება თუ არა, რომ მას აღარ მოხვდება ყაზახის მათრახები ან დამსჯელ რაზმების ტყვია ყუმბარები—**თითონვე დაგვიწერს** უკეთესი ცხოვრების კანონებს და თავის მტერ-მოყვრებს სულ კუდით ქვას ასროლინებს.

ჩვენ ვილაპარაკოთ და აღვნიშნოთ ის სამწუხარო ზეგავლენა, ის დასაგმობი და სავალალო შერყვნა გრძნობა-გონებისა, რომელ ზეგავლენასაც ახდენენ და რომელი შერყვნაც შეაქვთ სასწავლებლებში მოუმზადებელსა და გაყვითნებულ „პროპაგანდისტებს".

შედიხართ, მაგალითად, კლასში, უკვირდებით ყმაწვილებს, მათ სიტყვაპასუხს, მათ შეკითხვებს, მათ მოქცევას და ნათლადა გრძნობთ, რომ მათი ნორჩი გული და გონება უკვე მოუშხამავთ პარტიულის ფანატიკოსობით, სიძულვილით, მოუთმენლობით, უმეცრებით, შენ—ჩემობით!..

უყურებთ, უკვირდებით ასეთ მოწაფეებს (ქალია, თუ ვაჟი) და გულისტკივილით გრძნობთ, რომ მათი საქმე უკვე წასულია, მათში უკვე ამოფხვრილია სწორედ ის სიყვარული ერთობისა ურომლისოდაც ცხოვრება არ შეიძლება, მათში უკვე დახშულია ის **პატივისცემა იდეისა**, ურომლისოდაც შეუძლებელია ჭეშმარიტების შეგნება, მათში უკვე მოწამლულია **გრძნობა სამართლიანობისა**, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოციალური ურთიერთობა, მათში უკვე გაქარწყლებულია **სურვილი აზრთა შეფასებისა**, ურომლისოდაც შეუძლებელია გონებრივი და ზნეობრივი წინმსვლელობა, ამაღლება, განვითარება!..

უყურებთ-მეთქი,—მოგახსენებთ,—ასეთს მოწაფეებს და ჰფიქრობთ:—ნეტა როდის უნდა მოეღოს ბოლო ახალ-თაობის ასეთს ექსპლოატაციას პარტიულის მიზნებით, ნეტავ როდის მიხვდება ხალხი, რომ ყოველი პარტია მხოლოდ ჭეშმარიტების სამიებლად არის გაჩენილი და არა ხალხის ჭეშმარიტების გზიდან გადასაგდებად!.. მაგრამ ეს მწარე საკითხი, ისევ საკითხადვე დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს, ვინაიდგან პარტიული ოფოფები თავის მიზნების მისაღწევათ, დღესაც თავისას არ იშლიან.

გუშინ თუ გუშინწინ, მაგალითად ქუთაისის ერთ ერთ საქალებო სასწავლებელში მაღალ კლასის მოწაფეებთან ერთად, კლასში შეუმწყვდევიათ **მეოთხე კლასის** უსუსური ბავშვებიც და ერთ მოსოციალისტე მოწაფე-პროპაგანდისტს მეორე პარტიის პატივცემულ მოღვაწეებისათვის „ვირთხები და უტვინოები" უწოდებია.

უკაცრავად კი ვარ ასეთის თქმისთვის მაგრამ „ვირთხა" თვითონ ეს პროპაგანდისტი ყოფილა, თუ მეტი „მეცნიერება" ვერ იპოვნა თავის პარტიის ძლევამოსილებისათვის.

ეს მაგალითი სხვათაშორის იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აღვნიშნოთ ახალგაზდობის გრძნობა გონების დამახშობელთა მოქმედება და მავნებლობა...

ამიტომ დროა მეთქი თითოეულმა ჩვენში მომქმედმა პარტიამ დაასახელოს პასუხის მგებელი წარმომადგენელი, რომლის ხელმძღვანელობით უნდა ხდებოდეს ქადაგება თუ კამათი სოფლად თუ წალაქად, მოზრდილებში თუ მოზარდებში და მით საზღვარი დაედოს იმ აღვირახსნილობას, რომელიც ასე მავნებელია ჩვენის ქვეყნისათვის.

დრო არის შევსდგეთ ცოდნა-მეცნიერებისა და იდეათა პატივისცემის ნიადაგზე, დრო არის ახლა მაინც დავუხმოთ ჩვენს გულსა და გონებას, შევიმუშაოთ ევროპიულ-განათლებული მეთოდი აზრთა გაცვლა გამოცვლისა, თორემ ვიდრე ჩვენი უმეცარი და გონება დახშული არამკითხე „პროპაგანდისტებთა უმრავლესობა ერთი ერთმანეთს „ვირთხებათა და ვირ-ეშმაკებათ" მონათლავენ, მანამდე საქართველო და ქართველი ხალხი, როგორც უფლების მაძიებელი ქვეყანა როგორც მთლიანი ერი, გარიყული დარჩება და მერე უყარეთ კაკალი თქვენს სოციალიზმსა, თუ თქვენს ერთობას!!.

**ია ეკალაძე.**

## აჯანყების შედეგი.

არ ვიცით, გადარჩა რუსეთი ბოლშევიზმისგან მოსალოდნელ კატასტროფას, თუ კვლავ მძვინვარებს მისი მოუხეშავი იარაღი სატახტო ქალაქებში. არც ის ვიცით, გადარჩა თუ არა რუსეთი იმ კატასტროფას რომელიც დროებით მთავრობის პოლიტიკამ დაატეხა მას თავს.

პეტრეს ქალაქის დეპეშათა სააგენტო ოფიციალ ცნობებს აღარ გვაწვდის.

თბილისელ გაზეთებს კერძოთ ატყობინებენ, რომ პეტრეს ქალაქში ბოლშევიკები დაძლეული არიანო.

მოსკოვის შესახებ იუწყებიან, რომ იქ სამოქალაქო ომის ცეცხლი ანთია.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ბოლშევიკების გამოსვლა სასწრაფოთ მიაღწევდა თავის საბოლოო წერტილს.

ადვილათ შესაძლებელია ახლა კერენსკის ლაშქარმა ბოლშევიკები ძირს დასცეს, მაგრამ კრიზისი ამით არ თავდება.

ბოლშევიკებს ხელს უწყობს რუსეთის ცხოვრების აწინდელი არეულობა და უმწეობა. რევოლუციაში ტრაღედია გამეფდა. თვით გასამართლება, პიროვნების თავისუფლების შებღალვა, კერძო ქონების ტაციობა ანარქიას აძლიერებს.

დრ. მმართველობა, პარტიული კოალიცია უძლური იყო ანარქიულ მოვლენებთან ბრძოლაში.

დღეს რუსეთი ელვის სისწრაფით მიექანება იმ საბედისწერო დაღმართზე, სადაც მას სიკვდილი უმზადდება.

ასეთ დროს, რა ფასი აქვს ბოლშევიკების ან დამარცხებას ან გამარჯვებას? არსებითად არაფერი.

რუსეთში მძვინვარებს ანარქია, რაც რევოლუციას კარგს არაფერს უქადის.

პეტრეს ქალაქში ბოლშევიკებზე გამარჯვება არ ნიშანავს სამშვიდობოზე გასვლას.

რუსეთის ცხოვრებას ამ ჟამათ ვერავინ ვერ აუღო ალღო.

იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები მაქსიმალისტობენ, სოციალურ რევოლუციას მოითხოვენ, ბოლშევიკების „რაბოჩი პუტი" პირდაპირ ამბობს. „ახლავე უნდა ჩამოერთვას მდიდრებს ქონება და გადაეცეს ღარიბებს," გაუქმდეს მიწის კერძო საკუთრებაო და სხვა.

ასეთ უკიდურესობის გზაზე სდგანან რუსეთის მაქსიმალისტები.

ხოლო რაც შეეხება მენშევიკებს, კადეტებს და ესერებს, ესენი პარტიულ კოალიციის მეოხებით აპირებდენ დაღუპვისკენ წაქანებულ სახელმწიფოს დახსნას.

მაგარი ის იყო, რომ „ზომიერების" მიხედვით მომქმედმა პარტიებმა ამ რევოლუციაში თავის გულწრფელობა ვერავის აგრძნობინეს, ისინი არსებითად ძველ მთავრობის გზით ვიდოდენ.

გაიხსენეთ კადეტების იმპერიალიზმი და ის, თუ როგორ მოექცენ სოციალისტური პარტიები ეროვნულ თავის უფლების მინიმუმს.

რა მიანიჭეს თავის ნებით დამონებულ ერებს სოციალისტებმა? არაფერი.

ამის გამო არა ყველა რუსის ერი რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიას უნდობლათ შესცქეროდა და იმ ხანათ, როდესაც ირღვევა რუსეთი, ისინი თავის ბედს იჭედენ.

რუსეთში არ აღმოჩნდა მიმართულება, რომელსაც შესძლებოდა მდგომარეობის და პირობების მიხედვით სახელმწიფო ცხოვრების წაყვანა.

კადეტები იმპერიალისტობდენ, სოციალისტები, უკონტრიბუციო და უანექსიო ზავს ქადაგებდენ და სტოკჰოლმს შეჰყურებდენ, მეუმრავლესენი კი სოციალიზმის განხორციელებას აპირებდენ.

სინამდვილეში კი აი რა იყო: გერმანეთი ძლიერათ ანგრევდა რუსეთის სახელმწიფოს ბჭეთ. საზღვარ გარეთელი თანამოაზრენი რუსეთის სოციალისტებს სასაცილოთ იღებდენ. შინ ცხოვრებაში კი ყოველგვარი კრიზისი მეფდებოდა. ჩამოქვეითება მიმოსვლის, კრახი მრეწველობის, კრიზისი ფინანსების, გაფიცვები თმუშევართა გამრავლება, სიმშილი და აგრარული ანარქია.

აქ ყველა პარტია საგონებელში ჩავარდა, ყველას გზა აებნა.

მართლაც, ძნელია ასეთ უკიდურეს კრიტიკულ განცდის დღეებში საქმის არა თუ სასურველად მოგვარება, არამედ თავის გადარჩენა.

რუსეთის ტრაღედია რთულია, აქ ბოლშევიკების უკუქცევას მნიშვნელობა არა აქვს, ამ გვარი გამოსვლები და კრიზისი კიდევ მრავალია მოსალოდნელი.

ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

**ხერ.**

## ქართველ ერს.

(სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობის მოწოდება.)

ბუნების კალთაზე ტურფა სისძლოსავით მორთულა სხივ ფენილი სამშობლო შენი.

უზარმაზარი მთების დიდებული ყინულის ჯიღა ათას-ფერად ბრწყინვალებს მზის სხივებზე და თოვლის უბიწო, თეთრი ლეჩაქი მის დაფენებათ კოხტათ გადაფარებია. ამ მთების ჩიხტსა უშველებელი, მწვანე ტყეების ზურმუხტი ძვირფას ქინძისთავად ზედ-მისდგომია, ოლო ქვეით ვერცხლისებური კამკამა მდინარეები, ვით ოქსინოს ძვირფასი სარტყელი, ორ-ტოტათ გაყოფილი, მიმჩქეფარებს. მთელი კაბა მწვანე ხავერდისაა, ხოლო ზედ ბუნებითის ხელოვნებით ამოქარგულია მრავალ ფერი ვარდი და ყვავილი. ქოშებს კი თვის ღრმა ფსკერიდან ამოტანილ მარგალიტებით შავი ზღვა რთავს და კაზმავს.

და აქ გაჩენილხარ შენ, საქართველოს შვილო: ლამაზი, ჰაეროვანი, გონიერი და ნიჭით შემკული.

ხოლო გაჩენიდანვე შეგყვარებია ტრფიალი მშვენიერებისა.

ეს ყოფილა შენი გზად-მყვანი, მაცოცხლებელი და ხოგჯერ დამტანჯველიც—ეს მშვენიერების ტრფობა.

ეს გაგილექსია, ეს გიმღერია, ამაზე გიწერია, მისთვის გიცეკვნია, მისთვისვე გიხატავს და გიშენებია.

ამას ამბობს შენი ზღაპარი, ამას მოუთხრობს შენი წიგნი, ამის მოწმე და მაკურთხეველია შენი ცამდე ახხლეტილი, ტან-წერწეტა, კოხტა ტაძრები, ამასვე ბგერს შენი ძლის-პირნი და სუფრულმაყრულები.

აბესალომ და ეთერის გულ-მომწყვლელ ამბიდან რუსთაველის ქნარამდე ამაღლდი და შემოქმედი ხელმწიფეებით გადმოგვეც დიადი ტრფობა შვენებისა, უზენაესი მადლი სიყვარულისა;

ხოლო ყოველთვის ცისკროვანი არ იყო შენი ბედი. და აი შენი ცხოვრების ღრუბლიანზე შენვე შეთხზე უკვდავი ლეგენდა ამირანისა.

ეს იყო შენი სულის კვნესა: გმირული ამოოხვრა და იმავე დროს შვება შენი განსაცდელის ჟამს.

როდესაც ხელს არვინ და არაფერი არ უშლიდა შენს მოწოდებას, არც გარეშე და არც შინა მტერი, მაშინ შენი შემოქმედება იყო მკვეთრი და გრძნობის ამმაღლებელი. მაშინ გევლინებოდნენ ნიჭიერნი შვილნი ყოველს სფეროში შენის არსებობისა, სრულიად და ფართოდ ხმაობდა ბუნების მიერ მომადლებულ მაღალთა ნიჭთა და იყავ ძლიერი კულტურით.

გარნა, როდესაც გარეშე მტერი დაგჩაგვრიდა, ან შინა-განხეთქის და დაქსაქსვის ჭირი მოგედებოდა, მაშინ ეცემოდა შენი ლექსთა წყობაც, შენი ტაძრების მწყაზრული აღნაგობაც—ძველებურად ველარა ჰქმნიდი შენი მხატვრობა, შენი ფერთა საღებავები, შენი მწიგნობრობა, შენი მუსიკალობაც და ხელოვნებაში ლონე მიხდილი, სუსტი იყავ მეცნიერებაში, უძლური სახელმწიფო ცხოვრებაში. აღარც მაღალ-ნიჭიერი სარდლები, აღარც ფილოსოფოსპეტრიწები, აღარც წინასწარმეტყველურად სულით ახოვანი გიორგი მთაწმინდელები და აღარც ხელოვნების მეუფე რუსთაველი.

იღრუბლებოდა შენს ცხოვრებაში, ლამდებოდა და მხოლოდ ოხვრით იხსენიებდა კვლავ ამირანსა.

მაგრამ ისე მაინც არასოდეს არ შემოღამებულა, როგორც მთელი წარსული საუკუნის განმავლობაში, რუსთა ბატონობის დროს:

შენი ტაძრები ჩამოინგრა, საუცხოვო ნაგები ციხე-დარბაზი განადგურდა და გაუქმდა, კედლის ძვირფასი მხატვრობანი წაიშალა და შეიბღალა, თავისებურობით აღბეჭდილი ჩუქურთმები და ხრახნილები მოირღვა, ბექა ოპიზარისა და მისებრ მაღალ-ნიჭიერ ხელოვანთა მიერ ნაჭედი და ჩამოსხმული განძეულობანი გაიბნა და წარტაცებულ იქმნა, სხეულის მოხდენილი და მორგებული სამოს-სამკაული მივიწყდა, სიმღერა და ცეკვაც გადაგვარდა თვით ენაც წმინდა და ფაქიზი შეირყვნა და მწერლობამაც იწყო აზროვნება ხვისებური, უცხოური, დაჰკარგა თავის თავადობა. ხელოვნებაში მშვენების ღმერთის ნაცვლად მოძალადე დეზებიანი ვინმე წამოჯდა მაღალ კვარცხლ-ბეკზე.

დაჰკარგე შენი სახე, უსახურ იქმენი.

ეს იყო ყველა შენ მიერ გადებული მსხვერპლზე უსაშინელესი, ყველა შენ მიერ დანთხეულ სისხლზე უმწვავესი.

შენ სულიერ მონად გახდი.

იმის გარდა, რომ უზარ-მაზარ რუსეთის დამცირებულ გუბერნიებათ იქეც, შენ სულიერადაც მისი პროვინცია შეიქმენ, რადგანაც ჩრდილოეთის ქუსლ დალურსმული, ტლანქი წაღა მოხვდა შენს ახოვან მკერდს, წაგაქცია და საკორტნავათ თვით-მპყრობელობის ორთავა არწივიც მოგენთო.

შენც ისე გამოიცვალე, ისე მოდუნდი, რომ ზოგჯერ ვერცა გრძნობდი რა საშინლათ ჰკორტნიდნენ შენს სხეულს...

ცხლა ძლივს ასრულდა თვით რუსის ხალხის საუკეთესო წადილი: თვითმპყრობელობა დაემხო და შენ მოგშორდა ის ორთავა არწივი...

ყოველივე ის, რითაც ამაყობდი შენს წარსულში და არც სამუდამოთ ამართლებს შენს სამშობლოს მშოფლიოს წინაშე, გავალებს დღესვე გადასწყვიტო ბედი შენის მომავალისა.

ისტორიის შეუწყვეტელმა ტანჯვამ ვერ ჩაჰკლა შენი გმირული სული, რომელსაც არასოდეს არ სჭირდებოდა გაცოცხლება და გამოფხიზლება ისე, როგორც დღეს.

ჩრდილოეთის ნისლი უნდა ჩამოსცილდეს შენი ქვეყნის მხურვალებით სავსე მზეს და მის უხვად დაფანტულ სხივებ ქვეშ უნდა იგრძნო განახლებული ბედნიერება.

ჩვენ წილათ გვხვდა მადლიანი სიტყვით ვიყოთ გამომსახველი შენი წმინდა გრძნობისა, შენი ფერადი ოცნების შენი მწუხარების და სიხარულისა. მაგრამ მეტად საგრძნობი იყო შენი უკანასკნელი საუკუნის უბედურება, რომ მას უფერობის ბეჭედი არ დაესვა ჩვენი შემოქმედებისათვის...

ჩვენ მზათ ვართ ვიდღესასწაულოთ დასაწყისი! შენი სიხარულის და განახლებისა.

ისმინეთ ჩვენი აღსარება:

არავის და არაფერს არა სჭირდება თავისუფლება ისე, როგორც ხელოვნებას.

სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მხურვალე სალამით მოგმართავს შენ, ქართველო ერო, და მოგიწოდებს იხსნა შენი თავი ხანგრძლივ ტყვეობისაგან, გააცოცხლო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე და ჩვენც მოგვეცე საშუალება ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა შენსა და უსაყვარლეს სამშობლოს წინაშე.

## არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელ აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომპანიის გაწევა პარტიისაგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამგრძნობს, შემოიტანოს პარტიის კასაში შეძლებისადაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პურადაშვილთან აზოვდონის კომერციულ ბანკში.

2) გაზ. ,,ჩვენი ქვეყნის'' რედაქციაში, თბილისის ქ; ს. მიქელაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედიც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

**ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.**

**სიღნაღის ერ-დემ. კომიტეტის განცხადება.**

(დ ე პ ე შ ა)

სიღნაღი. 29 ღვინ. გაზეთ „ჩვენი რესპუბლიკის" ცნობა სიღნაღიდან, ვითომც მთელი სარაიონო ორგანიზაცია ეროვნულ დემოკრატებისა გადასულიყოს „რადიკალ-დემოკრატების" მხარეს, სიმართლეს არ შეეფერება. ნამდვილად მხოლოდ წევრთა ერთი ნაწილი გამოეყო და კომიტეტის სამი კაცი. ჩვენი ორგანიზაცია შევსებულ კომიტეტით განაგრძობს მუშაობას.

**სიღნაღის კომიტეტი.**

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

✦ **ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა საყურადღებოდ.** ამით ეუწყება ამხანაგებს, რომ **დღეს ნოემბრის 2, საღამოს სრულ 6 საათზე** გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის ბინაზე, გაიმართება

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების სტუდენტთა (განურჩევლად სქესისა) საზოგადო კრება, რომელზედაც მეტად საყურადღებო კითხვები იქნება განხილული. ყოველი ამხანაგი ვალდებულია დაესწროს ამ კრებას. პრეზიდიუმი.

✦ **ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური უბნის კომიტეტი.** ქუთაისში, ცენტრალურ უბანში დაარსდა ერ. დემოკრატიულ პარტიის სოუბნო კომიტეტი. კომიტეტის ბიურო მოთავსებულია თბილისის ქუჩაზე. ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში. პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება ყოველ, დღე დილის 11-დან 2 საათამდის.

✦ **სროლა.** 31 ოქტომბერს ქუთაისის ქუჩებზე რამდენიმე მთვრალმა პირმა ხროლა ასტეხა. ხალხი შიშის ზარმა აიტანა, ყველას ეგონა ბოლშევიკები გამოვიდნენო, მაგრამ მალე გაჩნდა მილიცია და მსროლელები დაიჭირეს. ისინი ოფიცრები აღმოჩნდენ.

✦ **ცეცხლი სალორიის ტყეში.** 31 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე სალორიის ტყეს ცეცხლი გაუჩნდა. გვიან გაიგო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა, მაგრამ ტყეს ჩასაქრობად ვერ მიაღწია. როგორც იყო მუშების მეცადინეობით ცეცხლი ღამის 1 საათზე ჩაქრობილ იქმნა. დაიწვა 30 ქცევამდე ახლად აზრდილი ტყე. ზარალი ჯერ გამოურკვეველია.

✦ **ამიერ კავკასიის** განსაკუთრებული კომიტეტის წევრი ა. ჩხენკელი გუბერნიის კომისარს გ. გიორგაძეს სთხოვს, რომ ყოველ კვირეულად აცნობოს ქუთაისის გუბერნიაში მომხდარი ამბები.

✦ **პირდაპირი მატარებლების გაუქმება.** ჯარის კაცებთან მუდმივი ექსცესების თავიდან ასაცილებლად პირველ ნოემბრიდან კავკაის გზაზე მატარებლები იმავე სიჩქარით ივლიან, როგორითაც საბარგო მატარებლები დადიან. სახალხო პირდაპირი მატარებლები, რომელნიც თბილის-პეტროგრადსა და თბილის-კისლავოდსკს შორის დადიოდნენ, სრულებით გაუქმებული იქნება პირველ ნოემბრიდან. თბილის-პეტროგრად კისლავდსკ-ის ჯგუფის სამგზავრო ვაგონები მხოლოდ როსტოვამდე მივლენ. ვინც კისლოვოდსკში მიდის, „მინერალნია-ვოდაში“ გადაჯდება, ხოლო ვინც მოსკოვს ან პეტროგრადს მიდიან, ისინი როსტოვში უნდა გადასხდნენ, საიდანაც სხვა მატარებლებში ჩაჯდებიან.

✦ **მოწაფეების დათხოვნა.** დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომპანიის მოახლოების გამო, გუშინ დაითხოვეს ქართული გიმნაზიის უფროსი (მე-6, მე-7 და მე-8) კლასის მოწაფეები.

✦ **მოხელეთა კავშირის კრება.** დღეს, ქუთაისის სასამართლოს დარბაზში, მოხდება სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

✦ **პაპიროსი და თუთუნი.** კავკასიის საოლქო სასურსათო სამმართველო ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ ქუთაისისათვის თბილისში დამზადებული არის 6,000,400 ცალი პაპიროსი და 2,000 გირვანქა თუთუნი. ქუთაისის სასურსათო კომიტეტმა ეს პაპიროსი და თუთუნი უნდა მოსთხოვოს მეძარხნეთა საზოგადოების თავმჯდომარეს ენფიანჯიანცს.

✦ **ერთა ყრილობა.** კიევიდან გაზ. „სახ. საქმეს“ საკ. კორესპოდენტი შემდეგს ატყობინებს: ერთა საბჭოს სხდომები 24 ოქტომბერს დაიწყო. პირველ დღეს განიხილეს სხდომათა წეს-რიგი. სხდომები დახურულია. 25 ოქტომბერს მანდატები განიხილეს. მოხსენებანი ადგილებიდან: ლატიშების, ესტონელებისა საშინელს სურათს ჰხატავენ. უკან დახეული ჯარი ყველაფერს ანადგურებს. მთავრობა ყველაფერს რეკვიზიციას აძლევს. დავადგინეთ ფედერალისტების ჟურნალის გამოცემა“.

✦ **აღმასრულებელ. კომიტეტში.** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა, თანახმად აცანის აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობისა, სთხოვა ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო კომისარს, რომ შუამდგომლობა აღძრას, სადაც ჯერ არს, რათა აცანის პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი ინახებოდეს სახელმწიფო ხარჯზე.

# დაითესეთ პური,

## დაზარდეთ ფრინველი

## და ოთხფეხი საქონელი,

## რადგან მსოფლიო შიმშილისა და გზების გაფუჭების გამო ჩამოტანის იმედი არ უნდა იქონიოთ.

✦ **ტყავეულობა და ასანთი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის რწმუნებული ქ. როსტოვიდან იტყობინება, რომ მას როსტოვში შეუძენია 2,000 გირვანქა ფეხსაცმელების ტყავი „ხრომი“ გირვანქა 6 მანეთად და 10 შაურად და ერთი ვაგონი ასანთი.

✦ **სადგურის ჟურნალ გაზეთების „შკაფის“ გაძარცვა.** 31 ოქტომბერს, ვიღაც ბოროტმოქმედებმა გასტეხეს ქუთაისის სადგურზე წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების „შკაფი“, როგორც, „შკაფის“ გამგემ გადმოგვცა წაუღიათ 50 თუმანი.

✦ **კურს დამთავრებულნი.** ქუთაისის სალამოს კურსები დაასრულეს და სიმწიფის მოწმობები მიიღეს შემდეგმა ახალგაზდებმა: შ. ჩარკვიანმა, ვ. სანაიამ, შ. ხამაშურიძემ, გ. კუტელიამ, დ. კელენჯერიძემ, ვ. ჭრიალაშვილმა და შ. აკობაშვილმა.

✦ **მილიციონერთა თავგასულობა.** გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა არქიელის გორაზე მცხოვრები რამდენიმე მოწაფე და განაცხადეს, რომ ღამ-ღამობით მილიციონერები მათ რევოლვერებით აშინებენ და ქუჩაში სიარულს უკრძალავენ. კარგი იქნება ამ გარემოებას ყურადღება მიექცევოდეს.

✦ **პეტროგრადი და მოსკოვის** შესახებ არავითარი ცნობები არ მოდის. აგერ ორი დღე არის რუსეთის სხვა ქალაქებიდანაც არავითარი დეპეშები არ მიგვიღია, როგორც ხმები დადის მოსკოვში და პეტროგრადში ბრძოლა სწარმოებს.

✦ **ქალაქის თეატრი.** დღეს, ქალაქის თეატრში, ქართული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ს. ერთაწმინდელის პიესა „სადარაჯოზე“ მელოდია 3 მოქ. და ვ. გუნიას „შვინდაძე“ მხიარული ვოდევილი ერთ მოქმედებად.

✦ **ქურდობა.** 28 ოქტომბერს, ღამის 3 საათზე, გეგუთის ქუჩაზე, ბოროტ-გამზრახველებმა პავლე ბუაძის სახლიდან მოიპარეს ოჯახის სხვადასხვა მოწყობილება და ტანისაოსი.

✦ **საღამო.** 4 ნოემბერს, რეალური სასწავლებლის დარბაზში ს.-რევ. მოწაფეთა ორგანიზაცია გამართავს ლიტერატურულ მუსიკალურ საღამოს.

✦ **ვაგონების შესახებ.** ქუთაისის საგუბერნიო სურსათო კომიტეტი სთხოვს ხაშურის სარაიონო სასურსათო კომიტეტს, რომ ნება მისცეს ოზურგეთის მაზრის წარმომადგენელს გაზიდოს სად. გომიდან სად. ნატანებამდის 4 ვაგონი სათესლე პურის ხორბალი და 4 ვაგონიც ქერი.

✦ **შაქრის მონოპოლია.** კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტი ქუთაისის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ შაქრის მონოპოლია კავკასიაში 1 დეკემბერს იქნება გამოცხადებული.

✦ **ვიპოვნე ფული.** 28 ოქტომბერს, კახიანოურჩი ქალაქის საავადმყოფოს და რკინის გზის ლიანდაგის შუა ვიპოვე ფული. დამკარგველს დაუბრუნდება ფული იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნავს ფულის რაოდენობას და სხვა ნიშნებს. მისამართი ქალთა ეპარქიალური გიმნაზია, ბალახვანის ქუჩა, მარიამ გარდოსანიძის ასული.

— **ნაპოვნი ფული.** გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში წარმოადგინეს ნაპოვნი ფული 1 თუმნათმე. დამკარგველს ფულის მიღება შეუძლია რედაქციაში თუ მის რაოდენობას აღნიშნავს.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

— **გაზეთ „რესპუბლიკა“ს** სარედაქციო კოლეგიაში ცვლილება მოხდა: გაზეთის სათავეში ამ ჟამად არიან გრიგოლ დიასამიძე და სანდრო ყანჩელი. გაზეთის პასუხისმგებელ რედიქტრად ჩ. ა. დუმროვსკის ნაცვლად ხელს აწერს გრ. დიასამიძე.

— **მასწავლებელთა კავშირში.** კვირას, 29 ოქტომბერს, შესდგა საგანგებო კრება თფ. გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირისა, რომელმაც დაადგინა: მიეცეთ წინადადება სახალხო სკოლების მასწავლებელთ არ გაიფიცნენ, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის რევოლუციის საქმეს. კავშირი ყოველ ღონეს იხმარს მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— **თ. დ აზნ. სადეპუტატო საკრებულოში** კვირას, 29 ოქტომბერს, კ. ჩ. აბხაზის თავმჯდომარეობით შესდგა არაჩვეულებრივი კრება მამულების გადაცემის შესახებ.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ს. ციხის უბანი.** ივანე ჭინჭარაძეს თავს დაესხა 4 შეიარაღებული უცნობი. წაართვეს 900 მანეთი ფული. ბოროტმოქმედთაგან დააპატიმრეს ჯერ ჯერობით მხოლოთ ერთი, რომელიც აღმოჩნდა ყ. საათაშვილი.

— **ქ. ახალ-სენაკი.** ქალაქში ათასამდე ჯარი არის ჩამოყვანილი დასასვენებლად. ბინის უშონლობის გამო სივიწროვეს განიცდიან.

— ელიან თბილისიდან ქართული პოლკიდან ასამდე კაცს.

— სანოვაგეზე ფასი დღითი-დღე მატულობს ვაჭრობა ნორმალურად არ მიმდინარეობს.

— დრ. საზოგ. გამგეობამ გადასწყვიტა სცენის მოყვარეთა დახმარებით ზამთრის სეზონი აწარმოოს.

— დიდიხნის პრაქტიკის მქონე ფერშალი მაქსიმე ს. ღვამიჩავა ღებულობს პირობით შემდეგ ავადმყოფებს: ვისაც უცვივდება თმა, ვინც მელოტია და ეს არ არის შთამომავლობითი, ვისაც სურს თმას სითეთრე არ მიეკაროს.

— სასტუმრო „კავკაზში“ თავი მოიკლა ბაბილინა ბექანიამ. მიზეზი თვითმკვლელობისა ხანგრძლივი ავადმყოფობა ყოფილა.

— **ს. საზანო.** 3 შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი თავს დაესხა ქანტურიძეს, წაართვეს 3,750 მანეთი და მიიმალნენ.

## ქართულ პოლკის საჭიროებანი

სპარსეთიდან ჩამოვიდა თბილისს ქართული პოლკი და ნავთლუღში დაბანაკდა. ერთი ბატალიონი ამ პოლკისა ქუთაისში ჩავიდა, რომელსაც ოვაციებით დაუხვდა იქაური საზოგადოება, ხოლო დანარჩენი 3 ბატალიონი აქ არის. დიდ გაჭირვებაშია ეს პოლკი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არავისა აქვს. განსაკუთრებული საჭიროება სარჩლების მხრივ. უსაცვლებოდ აბანოშიაც ვერ წასულან... საინტენდანტო თავის მხრივ არავითარ საცვლებს აძლევს ამ პოლკს, ქუთაისში მოგცემენო,—ეუბნება მას. ამ გარემოებას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გარდა ქართველ მხედართა კავშირის კომიტეტისა ერთი ქართველიც არ მისალმებია ამ ლაშქარს.

ვინაიდან ასეთ შემთხვევებს ე. ი. ქართველ ლაშქრის საჭიროებას სურსათ-ამუნიციის მხრივ შემდეგშიაც ექმნება ადგილი, ამიტომ საჭიროა ეხლავე მოეწყოს კერძო კომიტეტი, რომელიც ქართველ საზოგადოებაში დატრიალდება და ქართულ მხედრობის სასარგებლოდ მოაგროვებს ფულს, საცვლებს, ტანსაცმელებს, ფეხსაცმელებს და სხ. („საქართვ.)“

## ქართველ ჯარის-კაცებს.

ამხანაგო ქართველო ჯარის-კაცებო! რუსეთის დამფუძნებელი კრება კარს მოგვადგა.

მოგვიახლოვდა დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნიდან—საქართველოდან უნდა გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნის,-საქართველოს ინტერესების დასაცავათ.

ამ დამფუძნებელ კრებაზე უნდა გადასწყდეს სხვა ჩაგრულ ერებთან ერთად საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი. რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა მიანიჭოს ჩვენ ქვეყანას სრული თავისუფლება, ისეთი თავისუფლება, როგორც მოგვანიჭათ თვითეულ თქვენგანს ამ რევოლუციამ.

სხვა ერებმა არ მოუცადეს დამფუძნებელ კრებას და თავისი უფლებები თავისივე სურვილით აღადგინეს. და ეს მოახერხა ჯარის-კაცების სიძლიერემ, ჯარის კაცების სამშობლოს სიყვარულმა...

ჩვენ კი, ქართველმა ჯარის კაცებმა, ჩვენს ძმებთან, დედებთან თუ შვილებთან ერთად მოვუცადეთ რუსეთის დამფუძნებელ კრებას, იმ იმედით, რომ ეს დამფუძნებელი კრება, სადაც შეიკრიბება მთელი რუსეთის დემოკრატიის წარმომადგენლები დაგვიბრუნებდა იმ უფლებებს, რომელიც ვერაგულად წაგვართვა ძველი რეჟიმის მთავრობამ.

ძველი მთავრობა უკვე დაემხო და დემოკრატია რუსეთისა მოვალეა დაუბრუნოს ჩვენს სამშობლოს სრული თავისუფლება.

ჩვენ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ რუსეთის დამფუძნებელ კრებას ეს და ის ჩვენს მოთხოვნილებას წინ ვერ აღუდგება.

რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოისყიდოს ის ცოდვები, რომელიც მიუძღვის ჩვენს წინაშე ძველი რუსეთის მთავრობას.

ქართველო ჯარის-კაცებო!

ყურადიღეთ ყველა ეს.

ქართველმა ხალხმა უნდა გაგზავნოს რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ისეთი წარმომადგენლები, რომელნიც ხმამაღლა მოითხოვენ საქართველოს ბორკილებიდან განთავისუფლებას.

ასეთი წარმომადგენლები წამოყენებული ჰყავს საქართველოს **ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.**

**ამ პარტიის კანდიდატთა სია არის № 8. მიეცით ამ სიას ხმა.**

ქართველო ჯარის კაცებო!

თუ არ გინდა კვლავ დაშორდეთ თქვენ საყვარელ სამშობლოს—საქართველოს, თუ არ გინდათ სპარსეთში, ოსმალეთში, გერმანეთის თუ ავსტრიის შავ მიწაში თქვენის ხელით დამარხოთ თქვენი ამხანაგები, თქვენივე ძმები, დაუჭირეთ მხარი ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიას და მუდამ ჟამ გახსოვდეთ ამ პარტიის კანდიდატთა **სია №8.**

ქართველო ჯარის-კაცებო!

თუ გინდათ ნახოთ თავისუფალი საქართველო, მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას №8.

ქართველო ჯარის კაცებო!

თუ გინდათ თქვენი საყვარელი საკუთრება, საკუთრებათვე დარჩეს **მიეცით ხმა მხოლოთ და მხოლოთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას №8.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის ქართველი ერის ინტერესების დამცველი, ქართველი ერის გულშემატკივარი.

და გახსოვდესთ: ეს ყველგან და ყოველთვის.

გახსოვდეთ სია №8.

ტანჯული ჯარის-კაცი.

## რუსული უნივერსიტეტის თბილისში [illegible]

(თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე)

თავმჯდომარეობს ევგ. [illegible]კონაშვილი. ენკენისთვის 14 ქალაქის საბჭომ დეპეშით აცნობა სწავლაგანათლების სამინისტროს, საჭიროა და თან აუცილებელიც, რომ იურიევის უნივერსიტეტი, რომლის ევაკუაცია ხდება სამხედრო მდგომარეობის გამო, თბილისში იქმნას გადმოტანილი. ეხლა სამინისტროდან მიიღეთ დაახლოვებით შემდეგი შინაარსის დეპეშა: იურიევის უნივერსიტეტის გადატანის საკითხი ჯერ-ჯერობით მოხსნილია.

სამინისტრომიქონია რა მსჯელობა კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, სასურველად სცნო გახსნას თბილისში დამოუკიდებელი სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა დახმარებას გაგვიწევს ქალაქი თბილისი. მოგეხსენებათ, რომ თბილისში არსებობს ქალთა უმაღლესი კურსები, რომელზედაც ამ ჟამად 1660 სტუდენტი ქალი და კაცი ისმენს ლექციებს. ქალთა კურსებს საკუთარი შენობა აქვს, მშვენიერი კაბინეთები და მიწა. საერთო ღირებულება კურსების ქონების 400,000 მანეთს აღემატება. ამ კურსების სტუმარმოყვარეობით სარგებლობს ახლად გახსნილი თბილისის პოლიტეხნიკუმი. ვფიქრობთ, ამ კურსების სტუმარ-მოყვარეობას ვერ ასცდება ახალი უნივერსიტეტი. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ეს კურსები თბილისის უნივერსიტეტების საძირკველი გახდეს და კურსებმა უნივერსიტეტების სახე მიიღოს სადაც შევლენ როგორც ქალები ისე კაცები. რაც შეეხება სხვა დახმარებას, ქალაქს შეუძლიან მისცეს კურსების უსასყიდლოდ საჭირო მიწა და დაარსოს ეგრედ წოდებული უნივერსიტეტის ფონდი.

მოხსენების შემდეგ ამ საგანზე გაიმართა მცირე კამათი.

კამათის შემდეგ დადგენილ იქმნა შემდეგი:—ქალაქის გამგეობის მოხსენება იქმნას მხედველობაში მიღებული. გაიგზავნოს პეტროგრადში საგანგებო დელეგატი, რომელიც იშუამდგომლებს სამინისტროს წინაშე, რათა ქალაქის გამგეობის დადგენილებანი დამტკიცებულ იქმნას. შესდგეს საგანგებო საუნივერსიტეტო კომისია, რომელშიაც შევლენ ყველა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენელი. ამ კომისიის დაარსება აუცილებელია, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთო კავკასიის ელფერი მიეცეს.

ვინაიდან ამ ჟამად ხდება გაეროვნება ყველა სასწავლებლების, ხოლო უნივერსიტეტების გაეროვნებაზე ჯერ კრინტიც არ ისმის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართულ უნივერსიტეტის პროექტს, ამიტომ აუცილებელია დაარსდეს უნივერსიტეტები აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტიდან.

პეტროგრადში დელეგატად არჩეულ იქმნა კონაშვილი. ამას გარდა, ამ სხდომაზე არჩეულ იქმნენ წარმომადგენლები ქალაქის სხვა და სხვა დაწესებულებათათვის. ქალაქის საბჭოს სხდომა დასრულდა ღამის 11 საათზე.

## დამფუძნებელი კრების საარჩევნო წესი.

### საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლება საყოველთაო, ე. ი. უფლება არჩევნებში მონაწილეობისა აქვს რუსეთის ყველა მოქალაქეს, განურჩევლათ სქესისა და წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. აგრეთვე აქვს საარჩევნო უფლება ყველა სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთ, რომელნიც მიიღებენ რუსეთის მოქალაქეობას (ქვეშევრდომობას) საარჩევნო სიების შედგენამდე, საარჩევნო უფლება აქვთ იმ ქალებს სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთ, რომელნიც ცოლად გაყვენ რუსეთის მოქალაქეთ, ქალი, თუ ის ცოლია სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომისა, ხმის უფლებას მოკლებულია. საარჩევნო უფლება აქვთ რუსეთის ყველა მოქალაქეთ ქალსა და კაცსა, რომელნიც დაბადებულნი არიან არა უგვიანეს 12 ნოემბრისა 1897 წ. და ყველა ჯარის-კაცს, რომელნიც დაბადებულნი არიან არა უგვიანეს 12 ნოემბრისა 1899 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო ხმის უფლება არა აქვთ იმ პირთ, რომელნიც კატორღაში იყვნენ ათი წლის განმავლობაში სასჯელის მოხდიდან, ლირსება აყრილი—ხუთი წლის განმავლობაში დღიდან სასჯელის მოხდისა და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც ნაჩვენები არიან 171 მ. მე-2 პ. სასჯელთა დებულებისა—თუ ამ პირთ უფლება არა აქვთ აღდგენილი რაიმე მანიფესტით ან სხვა აქტით, აგრეთვე არა აქვთ უფლება არჩევნებში მონაწილეობისა, იმ ჯარისკაცთ რომელნიც სამხედრო სასამართლოს დადგენილებით დეზერტირებათ არიან აღიარებული.

**საარჩევნო სიები.**

მე-7 მუხლი დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულებისა ამბობს: „საარჩევნო ხმის უფლებით შეუძლიანთ ისარგებლონ მხოლოდ იმ პირებმა, რომელნიც შეტანილი არიან საარჩევნო სიებში". მაშასადამე ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს ხმის უფლება წინდაწინვე უნდა იქმნას შეტანილი სიაში და თუ რაიმე მიზეზით გამოტოვებული იქმნება ვინმე სიებში, მას აღარ შეეძლება საარჩევნო უფლების განხორციელება. სერიოზული მომენტი საარჩევნო კომპანიაში სამია: პირველი საარჩევნო ოლქის ისეთი დაყოფა უბნებად, რომელიც გაუადვილებს მოქალაქეთ ხმის მიცემას. მეორე, რომ საარჩევნო სიებში ყველა იყოს შეტანილი და მესამე, რომ ყველამ მისცეს ხმა. ჩვენ ამ ჟამათ გვაინტერესებს მეორე მომენტი, ე. ი. სიების შედგენა ისე, რომ არავინ საარჩევნო უფლების მქონე სიებში გამოტოვებული არ იქნეს. საარჩევნო სიების შესადგენად არსებობს რამდენიმე საშუალება მაგრამ ყველაზე უკეთესად ითვლება აღწერა მცხოვრებლებისა და ამომრჩევლებისა ერთის დღის განმავლობაში. ეს საშუალება, ყველაზე უკეთესად ცნობილი განვითარებულს ტეხნიკას და მაღალ საზოგადოებრივ ცხოვრებას თხოულობს. რუსეთის პირობებში მისი გატარება მეტათ ძნელი და რთულია, მაინც აღწერა ამომრჩევლებისა საუკეთესო საშუალებაა სიების შესადგენათ თუნდაც ეს აღწერა რამდენიმე დღე გრძელდებოდეს. ამ შემთხვევაში სიებში გამოტოვებულთა რიცხვი ნაკლები იქნება, თუმცა ერთ დღიურ აღწერის დროს უფრო ნაკლები შეცდომები ხდება ხოლმე. დამფუძნებელ კრების დეპუტატების ასარჩევათ ამიერ კავკასიის ცენტრალურმა კომისიამ მიმართა ამ საშუალებას, ამომრჩეველთა აღწერას რამდენიმე დღის განმავლობაში. რასაკვირველია შეცდომები იქნება სიებში, გამოტოვებულნი ბევრნი იქნებიან, ამ ნაკლის შესასწორებლათ და სიების შესავსებათ, არსებობს მეორე საშუალება განცხადებითი შეტანით შევსება ან შესწორება სიებისა, ე. ი. თვით მოქალაქეთა მიერ გამოცხადება თავის საარჩევნო უფლებისა. კანონებით ამის უფლება აქვს ყველას. როდესაც სია შედგენილი იქნება ყველა მოქალაქეს უფლება აქვს შეეკითხოს სიების შემდგენ დაწესებულებას, შეტანილია ის სიაში თუ არა, თუ აღმოჩნდება, რომ ის სიაში შეტანილი არ არის, უფლება აქვს განაცხადოს, რომ სიაში ჩასწერონ ამგვარ განცხადებისთვის არსებობს განსაკუთრებული ვადა. ამ ვადის განმავლობაში მოქალაქე შეატყობინებს სიების შემდგენ დაწესებულებებს რომ ის გამოტოვებულია სიებში ვადის შემდეგ მათ აღარ შეიტანენ სიებში და ხმა დაეკარგება. არსებული კანონის ძალით სია შედგენილი უნდა იყოს ამიერ კავკასიაში 20 ოქტომბერს (ლვინობისთვეს) ამ დღეს სია უნდა გამოქვეყნებული იქნეს. ე. ი. სია ისეთ ადგილს უნდა ინახებოდეს, რომ ყველას შეეძლოს მისი განხილვა და შეცდომების აღმოჩენა. შვიდი დღის განმავლობაში სიების გამოქვეყნების შემდეგ მოქალაქეთ უფლება აქვთ განაცხადონ სიებში არსებულ შეცდომებზე იმ დაწესებულებებს, რომელთაც შეადგინეს სიები. სიების შემდგენ დაწესებულებათა მოვალეობაა ყოველგვარი განცხადებები მოქალაქეთა განიხილონ და თუ კანონიერი დაბრკოლებანი არ იქნებიან, დააკმაყოფილონ მთხოვნელები. თუ მთხოვნელი სიების შემდგენ დაწესებულების გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდება, მას შეუძლიან სამი დღის განმავლობაში აღებიდან განაჩივროს იგი სამაზრო საარჩევნო კომისიაში, ამ კომისიამ თავის მხრივ სამის დღის განმავლობაში უნდა მისცეს მომჩივანს პასუხი.

შემდეგ ამისა სიები საბოლოოდ გამოქვეყნდება და მასში არავითარი შესწორების შეტანა აღარ შეიძლება.

სიებში შეტანილი უნდა იყვნენ: 1) ყველა ის პირი, რომელსაც აქვს ხმის უფლება და სცხოვრობს სიების შემდგენ კომისიის რაიონში, 2) ის პირნი, რომელნიც სიების შედგენის დროს ამ რაიონში არა სცხოვრობენ, მაგრამ ბინადრობა კი აქვთ და მათი არ ყოფნა ამ რაიონში დროებითი ხასიათისაა, 3) ის პირნი, რომელნიც თავის სამსახურის ხასიათით, მუდამ მოძრაობაში არიან (რკინის გზის, გემების და სხვათა ამ ხელის მოსამსახურენი) თუ მათ აქვთ ამ რაიონში ბინადრობა, 4) ის მომთაბარენი, (მეჯოგეები), რომელნიც განაცხადებენ სურვილს 25 ლვინობისთვემდე ამ რაიონის სიებში ჩაწერისას და 5) ყველა ის პირნი, რომელნიც მოვლენ ამ რაიონში სიების შედგენის შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში და აქ ჩაწერის სურვილს განაცხადებენ.

სიებში შეტანილი უნდა იყოს შემდეგი ცნობები ამომრჩეველთა შესახებ: გვარი, სახელი და მამის სახელი და წლოვანება; თუ გვარი არა აქვს სახელწოდება, რომელსაც უძახიან მას მცხოვრებლები. პასპორტის გამოცხადება შეიძლება გვართან ერთად, თუ ნამდვილი ცნობა წლოვანების შესახებ არ ჰქონს, შეიძლება ჩვენოს სიაში, რომ ამომრჩეველი ოცი წლისაზედ მეტია. ხელობა ამომრჩევლისა საჭიროა უჩვენონ სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გვარი, სახელი, მამის სახელი ორი ან მეტი ამომრჩევლისა ერთნაირია და მათი გარჩევა შეიძლება მხოლოდ ხელობის ჩვენებით. სხვა შემთხვევაში ხელობის ჩვენება საჭირო არ არის. სიების ადგილობრივ ენაზე შედგენა შეიძლება იქ, სადაც ადგილობრივ ენაზედ ლაპარაკობს მცხოვრებთა არა ნაკლები ერთი მესამედის, აგრეთვე ამ შემთხვევაში სიების ქონა რუსულ ენაზედაც სავალდებულოა.

(დასასრული იქნება)

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**წერეთლის კანდიდატურა**

ი. წერეთელმა უარი სთქვა თავის კანდიდატურა ირკუტსკის გუბერნიაში წამოაყენოს, რადგან იქ ბოლშევიკები მის საწინააღმდეგო კამპანიებისთვის დარაზმული არიან.

**ზინოვიევის კანდიდატურა**

დასავლეთ ფრონტის ბოლშევიკებმა ზინოვიევი საარჩევნო სიაში შეიტანეს.

**ეროვნულ ჯგუფების შეკითხვა**

ეროვნულ ჯგუფებს რესპუბლიკის საბჭოში დროებითი მთავრობისადმი შეკითხვები შეაქვს, განზრახული აქვსთ თუ არა მთავრობის დეკლარაციის მუხლის ხალხი, დაასრონ ეროვნული საქმეებისთვის „სეიმი".

**კერენსკი და ვერხოვსკი.**

ამ დაბოლო დროს კერენსკისა და ვერხოვსკის შორის შეჯახებები ხდებოდა მინისტრ-თავმჯდომარეს არც ერთი ბრძანება არ გაუშვია სამხედრო მინისტრის თავის განუხილველათ და ნებადაურთველათ.

ბრძანებებს და განკარგულებებს კერენსკი ასწორებდა და შლიდა ან კიდევ უკანვე უბრუნებდა სამხედრო მინისტრს გადასაკეთებლათ.

ხმები ვერხოვსკის ჰქონდა გაწყობილობისა ბოლშევიკებთან უსაფუძლოა, პირიქით—ვერხოვსკი დემოკრატიულ თათბირზედაც დაბოლო გამოსვლებშიდაც ბოლშევიკების წინააღმდეგი იყო. ხმების თანახმად, გენერალი ვერხოვსკი ლოდინებში ვალაამის კუნძულზე გაემგზავრა.

**ვენიზელოსი რომში.**

20 ოქტომბერს ვენიზელოსი რომში ჩასულა, მას თან საბერძნეთის დიპლომატები ახლდნენ, აგრეთვე საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლები ათინიდან. მათ თათბირი ჰქონდათ საგარეო მინისტრ სონინოსთან.

**იტალიეთის დამარცხება.**

იტალიეთის ფრონტზე ავსტრო-გერმანელები წინ მიიწევენ. უკანასკნელი ცნობებით ისინი 30 ვერსით დაუხლოვდნენ ვენეციას და თუ იტალიელებმა უკანასკნელი ძალ-ღონე არ მოიკრიბეს და მტრის შეჩერება ვერ შესძლეს, კიდევ ერთი ძლიერი დაკვრა და ავსტრო-გერმანელები ვენეციას აიღებენ. როგორც სჩანს, უკანასკნელ ბრძოლაში იტალიელები ძალზე დაზარალებულან, რომ არ ვიანგარიშოთ დახოცილ დაჭრილები, ავსტრიელებს ტყვეთ წამოუყვანიათ 200.000 მეომარი და ხელთ უგდიათ 1800 ზარბაზანი.

# ორი მსხვერპლი.

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედებად.

ავტორი მ. ლვამიჩავა.

**მოქმედნი პირნი:**

1. ბესარიონ—40 წლის, ჩინოვნიკი,
2. ქეთო—38 წლის, ბესარიონის ცოლი.
3. ლიზა—19 წლის ქალიშვილი (მათი შვილები)
4. კოტე—7 წლის.
5. იორამი—39 წლის, ჩინოვნიკი, ბესარიონის ოჯახის მეგობარი.
6. მარო—20 წლის, ლიზას ამხანაგი.
7. სოსიკო—სტუდენტი 22 წლის

(გაგრძელება).

## გამოსვლა IV.

ბესარიონ იორამი და კოტე.

**კოტე.** აა, მამა, მოხვედი?

**ბესარიონ.** კოტე, ბიძიას ხელს რად არ ართმევ, მიდი, გენაცვალე.

**იორამ.** ლექსის სწავლაშია გართული. მოდი ჩემთან. (კოტე მივა და ხელს ართმევს) რომელ ლექსს სწავლობდი?

**კოტე.** (უნდა წიგნი გამალოს, მაგრამ იორამი არ დაანებებს).

**იორამ.** არა, ზეპირად მითხარი ლექსის სათაური.

**კოტე.** ზეპირად? (ფიქრობს რა ვერ მოიგონებს თავს დააქნევს) არ მახსოვს.

**იორამ.** რატომ?

**კოტე.** რატომ და დამავიწყდა.

**იორამ.** აბა, გაშალე წიგნი და წაიკითხე.

**კოტე.** (წიგნს გაშლის და ლექსს ხმა მაღლა წაიკითხავს).

**იორამი.** ახლა ზეპირად მითხარი.

**კოტე.** ზეპირად—რომ ვისწავლი მაშინ გეტყვი.

**ბესარიონ.** კოტე. დედა სად არის?

**კოტე.** ოთახშია.

**ბესარიონ.** რას აკეთებს?

**კოტე.** კერავს.

**ბესარიონ.** ლიზა არ მოსულა;

**კოტე.** ჯერ არა.

**ბესარიონ.** წადი, დედას უთხარი მამა და ძია იორამი გელიან თქო. შემოვიდეს.

**კოტე** არა, თქვენ წამოდით. დედასთან. (იორამი და ბესარიონი იცინიან).

**ბესარიონ.** კარგია, ნუ ცელქობ. წადი დედასთან და უთხარი აქ მოვიდეს.

**კოტე** არა, თქვენ წამოდით, დედას საქმე აქვს. კერავს.

**იორამი.** კარგი, წავიდეთ. (ადგებიან და სიცილით მიდიან კარებისაკენ.)

**კოტე.** (ახტება სიხარულით და სიცილით) ხომ გაჯობეთ, ხომ გაჯობეთ. (სიცილით გარბის და ყვირის: დედა, დედა, მამა და ძია მოდიან. სამივენი გადიან. სცენა ცოტა ხანს ცარიელია).

## გამოსვლა V.

ლ ი ზ ა.

**ლიზა.** (ნელის ნაბიჯით შემოდის, კარებთან შედგება. ძლიერ გამხდარია, სახე გაყვითლებული აქვს, მაგრამ მაინც ძველი სილამაზის იერი სჩანს. ჩაცმულია სადათ. სცენაზე გაივლის, მივა ლია ფანჯარასთან, თავს მიაყრდნობს და მდუმარედ შორს გადასცქერის. მცირე პაუზის შემდეგ გარედან მოისმის სიმღერა „სწრაფია ვით ტალღა" მეტად ნაღვლიან კილოზე; სიმღერა იგი წამს დაარღვევს ლიზას იდუმალ ყოფას. წუთიერი აღშფოთება ეტყობა, რომელიც მალე დაცხრება.) ის არის, ის! ამ შეთანხმებულ ხმებში მისი ხმაც მოისმის აქამდის?!.. (კვლავ მივა ფანჯარასთან, ცოტა ხნის სმენის შემდეგ მოსცილდება). ძნელია ამ სიმღერის მოსმენა... რაღაც მწველი ქვითინის ნაღვლიანი სავსე ხმა ისმის ამ სიმღერაში. მაგრამ ნუ თუ ყველანი ქვითინებენ. ნუ თუ ყოველი მათგანი სტირის ისე, ვით ის, ვით ის?!.. (ჩაფიქრდება. სიმღერა ისევ გძელდება, მაგრამ ხმა სუსტად ისმის. ამ დროს სცენაზე სწრაფ შემოიჭრება სოსიკო და კარებშივე შეჩერდება. გძელი პაუზა ვიდრე სიმღერა არ შეწყდება).

## გამოსვლა VI.

ლიზა და სოსიკო.

**სოსიკო.** ლიზა!

**ლიზა.** მე ვარ!

**სოსიკო.** ვიცი, გხედავ, შენ ხარ, მაგრამ ეს ჩემთვის საკმარისი არ არის.

**ლიზა.** რა გსურს?

**სოსიკო.** ლიზა, შენთვის მე უცხო არ ვარ. ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, შენ იცი რად მოვსულვარ აქ ამხანაგების სიმღერით ქვითინის ნაღვლიან მელოდიას მაწყვეტინე. მაშ რა საჭიროა ასეთი კითხვა.

**ლიზა.** მე არ ვიცი, რა გსურს ამ ჟამად ჩვენთვის ყოველივე ცხადი უნდა იყოს. გითხარი უკანასკნელი სიტყვა ჩემი, გამცნე, რაც საჭირო იყო და კვლავ ჩვენი შეხვედრა ზედმეტია, უადგილოა.

**სოსიკო.** ლიზა, რად მეუბნები ეგრე. ჩემთვის ლესაც შენდოვანია, დღესაც იდუმალების ბურუსით არის მოცული მიზეზი თქვენი უარისა. მერწმუნეთ, ლიზა, მე არ ვიცნობ იმ ტრაგიულ მიზეზს, რომელიც შენ გიძლევს ცივი უარით შეეხო ჩემს წმინდა სიტყვას ჰაბუკური სიყვარულისა.

**ლიზა.** სოსიკო, დამიჯერე, არ არის საჭირო წარსულში თქმულზე სიტყვის გაგრძელება, რად გსურს შექმნა ტანჯვა ჩემთვის და შენთვის. არ ვარ ღირსი ტანჯვისა.

**სოსიკო,** მართალია, ლიზა, მაგრამ იფიქრეთ, რაც ჩვენ შორის იყო, რომელსაც თვით ყოფნის სასტიკი ქარიშხალის ქროლვა ვერ აღმოფხვრის ჩვენი მეხსიერებიდან. იმის შემდეგ ასეთი ბოლო, ასეთი ასასრული, ეს ხომ სიცოცხლის ნამდვილი ტრაგედიაა?

**ლიზა.** მჯერა, მჯერა, სოსიკო, გეტყვი ცულახდილად, რომ ყოველი ის, რასაც შენ აქ იტყვი, სრული სიმართლე, სინამდვილე და ჭეშმარიტება იქნება მწამს ეს. მაგრამ მაინც ნუ გამკითხავ, თუ მე, მე რომელსაც შენ უყვარდი და დღესაც თავდავიწყებით უყვარხარ, ვერ გითხრა სიტყვა სასიყვარულო, სიტყვა თანაგრძნობისა. გევედრები ნუ მკითხავ მიზეზს, ვერ გეტყვი, თვითონ გაიგებ, სულ მალე, მალე!..

**სოსიკო.** არა, არა, ლიზა, ცდა, ლოდინი ჩემთვის წამებაა. არ ვარ შეჩვეული მას. მე მსურს დღესვე ვიცოდე.

**ლიზა.** (შეწუხებული, ახველებს) სოსიკო!

**სოსიკო** (მოიწევს ლიზასთან) სთქვი, სთქვი ლიზა.

**ლიზა.** სოსიკო! (მტკიცედ, თავს მაღლა ასწევს და ვით ქანდაკება შეჩერდება, გაშტერებული თვალებით შესცქერის სოსიკოს) აბა, შემომხედე პირდაპირ, მომაპყარ თვალები, ღრმად დამაკვირდი, შეხედე ყოველ ნაწილს ჩემი სხეულისას და შემდეგ მითხარი: ვინ ვარ მე?

**სოსიკო.** (საკვირველება იპყრობს) ლიზა! ლიზა!

**ლიზა.** (იღიმება) ნუ გეშინია, ან რა გიკვირს! შემომხედე და სთქვი, ნუ თუ მე ძველი ლიზა ვარ, რომელიც შენ გიყვარდა? შეხედე ჩემს თვალებს, სახეს, ხელს, სხეულს, ყველაფერს, სად არის, სად, სოსიკო შენი ძველი, საყვარელი ლიზა? გიკვირს?

**სოსიკო.** ლიზა, რას ამბობ, ათასი ცვლილება რომ მოხდეს შენში, მუდამ ცოცხლობდეს იქნება ის, რაც იყო და არის საგანი ჩემი სიყვარულისა, რამაც ჩემში წარმოშვა ეს ურყევი გრძნობა. რას დამაკლებს მე ეს ცვლილება?, მითხარ, ამიხსენ, გამაგონე, რისთვის შემიძულე? რისთვის?

**ლიზა.** (მწუხარეთ) სოსიკო!

**სოსიკო.** (მივარდება მასთან და ხელს დაუჭერს.) ლიზა, მითხარ რამე, სიტყვა ნუგეშით და იმედით სავსე და კვლავ მომასმინე შენი უზრუნველი, მხიარული სიცილის ხმა. გთხოვ. (ხელზე კოცნის. ხელს მოხვევს, ორივენი ერთმანეთს მიეკვრებიან და თავს მიაყრდნობენ ერთმანეთს) ლიზა, მოიგონე ჩვენი ტრფობის ბრწყინვალე წარსული, გახსოვს პირველი ღამე: გვიანი დრო, ყრუ ქალაქი, გარემოს ძილი. მდინარე, ხიდი, მაზე ჩვენ უსიტყვოდ მდგომნი, შორი გზა, გორა, მეტყველი სახე ძველი ნანგრევების, იქ ჩვენ, პირველი სიტყვა სიყვარულის, ალერსი, გიჟური ცეცხლი დაკმაყოფილებული გრძნობისა, ვნებიანი კოცნა, ო, რა შეთანხმებულად ძგერდა ჩვენი გულები სიყვარულით აღტაცებულნი, ეს იყო დიადი წარსული და ახლა ვი უნდა შევქმნათ დიადი აწმყო...

**ლიზა.** დიახ, ეს იყო წარსულში... ალერსი, გულის ძგერა, მახსოვს, მახსოვს ყოველივე... მე მიყვარს ის წარსული, მაგრამ (უცებ მოშორდება სოსიკოს) არა, არა, სოსიკო, მე აწმყოსთვის უკვე მკვდარი ვარ, მკვდარი ვარ ყველასათვის. წადი, წადი, სოსიკო, წადი აქედან, მომშორდი აქაურობას, ნუ უყურებ ჩემს სახეს, ნუ უსმენ ჩემს სიტყვას, შეურიგდი ყოველივეს... გასწი, წადი...

**სოსიკო.** ლიზა!

**ლიზა.** სიტყვა მეტია!.. (თავს ცუდათ გრძნობს).

**სოსიკო.** გთხოვ...

**ლიზა.** სუ! გასწი, მოშორდი აქაურობას.

**სოსიკო.** ლიზა, მესმის, რომ ჩემი ყოფნის ალსასრულის გაგება შენ შეგაძრწუნებს. მე მწამს სიცოცხლე შენთან გაშორებით ყოველივე ამას სიკვდილის შხამიანი ქარიშხალი გაიტაცებს, მოსპობს, გაანადგურებს. შენთვის აქ „სიტყვა მეტია", ურყევია გადაწყვეტილება შენი, დეე, იყოს ეგრე, არ შეგაწუხებ მეტი მუდარით, მხოლოდ ჩემში არსებულ ტანჯვას აწი გარყვნილი სიცოცხლე დამივიწყებს. შხამიანი ღვინო, სარდაფი, ლოთობა, ხა, ხა, ხა, აი, ნამდვილი პოეზია ადამიანის სიცოცხლისა თურმე ეს ყოფილა მე კი არ მწამდა ეს, ხა, ხა, ხა, ლიზა, შენ გაიცინე ჩვეულ სიცილით, როდესაც ქუჩაში ფეხებზე ძლივს მდგომი მიხილო, ღვინის სუნი აშმორებული, ლეშად ქცეული: გაფიცებ წარსულ სიყვარულს, ნუ შეგებრალები, მხოლოდ გაიცინე იმ სიცილით, რომელიც მე მიყვარდა. მე მხოლოდ ასეთი თავდავიწყებული ყოფაში ჩავკლავ ტანჯვას, სიყვარულს და შენს სახესაც. ხა, ხა, ხა, მშვიდობით ლიზა მშვიდობით, ნუ ელი აწი მოისმინო ისეთი ნაღვლიანი სიმღერა, როგორითაც დღეს შენი სახლის კარებს ვუახლოვდებოდით. ნაღველი—გიჟურ თავდავიწყებაში უნდა ჩავკლა, მე უნდა შევისწავლო შენებრ უზრუნველი სიცილი, ხა, ხა, ხა, მშვიდობით... (სწრაფად გარბის. ამ მონოლოგს ლიზა მღელვარებით უსმენს).

**ლიზა.** (ფანჯარას მივარდება) წავიდა. სთქვა უკანასკნელი სიტყვა და წავიდა. არ სურდა გაეგო ჩემი სულისკვეთება. საცოდავი ბავშვი, როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარს, მაგრამ ეჰ... მას სიცოცხლე კიდევ ბევრს პირდება. მე კი მალე უკანასკნელ სიტყვას მათქმევინებს. ის სიცოცხლით სავსეა, ჩემში კი სიცოცხლის ცეცხლი სიკვდილის სუნთქვამ ჩააქრო. (ცრემლი ერევა, სავარძელში ჩაჯდება და მაგიდაზე ალბომს გადაფურცლავს, ამოიღებს თავის სურათს და დიდხანს! დასცქერის მას.) საცოდავო ლიზა, რა იყავ და რა ხარ ეხლა?!.. (თავს მაგიდაზე დადებს და ისმის ყრუ ქვითინის ხმა).

(დასასრული ხვალ).

რედაქტორ-გამომცემელი დ. ბ. კვირკელია.

# რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | დილის | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


# ექიმები

ა. მ. ბაბთიძე ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარკვიანი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისის ავათმყოფებს.

(სისხლში უსხამს „606" და „914") დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი,- ლვავაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.